პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 27 აპრილი, 1945 წ. № 83 (7298). ფასი 20 კაპ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ მალინინს
უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს
ფრონტის შტაბის უფროსს არმიის გენერალ პეტროვს

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გადასჭრეს ბერლინიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ყველა გზა, დღეს, 25 აპრილს, პოტსდამის ჩრდილო-დასავლეთით შეუერთდნენ უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებს და, ამრიგად, დაამთავრეს ბერლინის მთლიანი გარემოცვა.

ბრძოლების მსვლელობაში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ნაუენი, ელშტალი, რორბეკი, მარკვარდტი, ხოლო უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი კეტცინი.

ბერლინის გარემოცვის დამთავრებისა და დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ პერხოროვიჩის, გენერალ-ლეიტენანტ პოპლავსკის პოლონეთის 1-ლი არმიის, გენერალ-ლეიტენანტ ლუჩინსკის, გენერალ-ლეიტენანტ ლუკიანჩენკოს, გენერალ-ლეიტენანტ პოზნიაკის, გენერალ-ლეიტენანტ ანდრეევის, გენერალ-მაიორ როგაჩევსკის, გენერალ-მაიორ როტკევიჩის, გენერალ-მაიორ ანაშკინის, გენერალ-მაიორ ბატიცკის, გენერალ-მაიორ ბორშენინის, გენერალ-მაიორ ვიდრიგანის, გენერალ-მაიორ კენევიჩის, გენერალ-მაიორ ბევზიუკის, პოლკოვნიკ პავლოვსკის, პოლკოვნიკ მუზიკინის, პოლკოვნიკ გერასიმოვის, პოლკოვნიკ ივანოვის, პოლკოვნიკ შეიპაკის, პოლკოვნიკ ზაიკოვსკის ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინოვის, გენერალ-მაიორ ბელოვის, გენერალ-მაიორ კოზლოვის, პოლკოვნიკ რიშკოვის კავალერისტებმა; გენერალ-პოლკოვნიკ ლელიუშენკოს, გენერალ-პოლკოვნიკ რიბალკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბელოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ სუხოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ვედენეევის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ უპმანის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ბახმეტიევის, პოლკოვნიკ კარეცკის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ერმაკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ მიტროფანოვის, პოლკოვნიკ პოტაპოვის, პოლკოვნიკ კოპილოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ნოვიკოვის, პოლკოვნიკ ფედოროვის, პოლკოვნიკ სელივანჩიკის, პოლკოვნიკ ტურკინის, პოლკოვნიკ ჟურავლიოვის, პოდპოლკოვნიკ ბაბენკოს, პოდპოლკოვნიკ შჩერბაკის, პოდპოლკოვნიკ რიბნიკის, პოდპოლკოვნიკ ხოჩკარენკოს, პოდპოლკოვნიკ გურენკოს, პოდპოლკოვნიკ ბელობოროდოვის, პოდპოლკოვნიკ შამინის, პოდპოლკოვნიკ იანჩელენკოს, პოდპოლკოვნიკ სავჩენკოს, მაიორ ცუროჩკინის, მაიორ კონსტანტინოვის ტანკისტებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ გოდინის, არტილერიის გენერალ-მაიორ მოძელევსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ მენტიუკოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ იზუმრუდოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ მიხაილოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პილინის, არტილერიის გენერალ-მაიორ კერპის, არტილერიის გენერალ-მაიორ პეტროპავლოვსკის, არტილერიის გენერალ-მაიორ ნიკოლსკის, პოლკოვნიკ ჩევოლის, პოლკოვნიკ გუდიმოვის, პოლკოვნიკ ვოინოვის, პოლკოვნიკ კოზუბენკოს, პოდპოლკოვნიკ შულჟენკოს, პოლკოვნიკ მიხეევის, პოლკოვნიკ მაქსიმოვის, პოლკოვნიკ ივანოვის, პოლკოვნიკ ვიკენტიევის, პოლკოვნიკ ლიაშკოს, პოლკოვნიკ შუბინის, პოლკოვნიკ ელოვატსკის, პოლკოვნიკ პეშაკოვის, პოდპოლკოვნიკ პუზიკის, პოდპოლკოვნიკ ბირიუკოვის, პოდპოლკოვნიკ იაცენკოს, პოლკოვნიკ მიხაილოვის, პოდპოლკოვნიკ პოგოდსკის არტილერისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ კრასოვსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ პრონინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ რიაზანოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სავიცკის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ უტინის, ავიაციის გენერალ-მაიორ კომაროვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ზაბალუევის, პოლკოვნიკ ისაევის, პოლკოვნიკ ტურიკინის, პოდპოლკოვნიკ დონჩენკოს მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კომაროვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ბორძილოვსკის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ შიროვის, პოლკოვნიკ კამენჩუკის, პოლკოვნიკ ლიუბანსკის, პოლკოვნიკ მასიკის, პოლკოვნიკ პოლუექტოვის, პოდპოლკოვნიკ სკოროხოდის, პოდპოლკოვნიკ ნაზარენკოს, პოდპოლკოვნიკ კებეროვის, მაიორ ზამჩალოვის, მაიორ სოტანოვსკის, მაიორ კაფანოვის, მაიორ ჩისტიაკოვის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ სოლოვიოვის, პოლკოვნიკ ოსტრენკოს, პოლკოვნიკ პლოტკინის, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოდპოლკოვნიკ ვინიკის, პოდპოლკოვნიკ კოგანის, პოდპოლკოვნიკ მასლოვის, პოდპოლკოვნიკ ზარუდსკის, პოდპოლკოვნიკ ოიცევის, მაიორ ულიანენკოვის, სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკ გრიბის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბერლინის გარემოცვის დამთავრებისა და დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 აპრილს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის 1-ლი ფრონტისა და უკრაინის 1-ლი ფრონტის, მათ შორის გენერალ-ლეიტენანტ პოპლავსკის პოლონეთის 1-ლი არმიის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაამთავრეს ბერლინის გარემოცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბერლინის გარემოცვის დამთავრებისა და დასახელებული ქალაქების დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 25 აპრილი. № 342

ბ რ ძ ა ნ ე ბ ულ ე ბ ა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ბულგარეთის 1-ლი არმიის გენერლებისა და ოფიცრების ორდენებით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან ბულგარეთის 1-ლი არმიის ქვემოჩამოთვლილი გენერლები და ოფიცრები:

კუტუზოვის I ხარისხის ორდენით

გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ დიმიტრის-ძე სტოიჩევი.

კუტუზოვის II ხარისხის ორდენით

1. გენერალ-მაიორი ტოდორ ფეფანის-ძე ტოშევი
2. გენერალ-მაიორი სტოიან კონსტანტინეს-ძე ტრენდაფილოვი
3. პოლკოვნიკი ცონიო სტოის-ძე განევი.

წითელი დროშის ორდენით

გენერალ-მაიორი შჩერიო გიორგის-ძე ათანასოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 22 აპრილი

ი. პ. ბაბალაშვილს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა
(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ივანე პავლეს-ძე ბაბალაშვილს გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილევსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ პოკროვსკის

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა დღეს, 25 აპრილს, დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი ზემლანდის ნახევარკუნძულზე — ციხე-ქალაქი პილაუ — დიდი ნავსადგური და გერმანელთა სამხედრო-საზღვაო ბაზა ბალტიის ზღვაზე.

ციხე-ქალაქ პილაუს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ გალიცკის, გენერალ-მაიორ ლედნევის, გენერალ-მაიორ ბურიევის, გენერალ-ლეიტენანტ სემიონოვის, გენერალ-ლეიტენანტ კოშევოის, გენერალ-ლეიტენანტ ზავადოვსკის, გენერალ-მაიორ ტოლსტიკოვის, გენერალ-მაიორ პეტერსის, გენერალ-მაიორ ციგანოვის, გენერალ-მაიორ პრონინის, გენერალ-მაიორ კარიჟსკის, გენერალ-მაიორ ჩერნოვის, გენერალ-მაიორ ბურმაკოვის, გენერალ-მაიორ შჩერბინას, გენერალ-მაიორ მასლოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სემიონოვის, პოლკოვნიკ კუზნეცოვის, პოლკოვნიკ სტრუევის, პოლკოვნიკ სერდობოლსკის, პოლკოვნიკ მირონოვის არტილერისტებმა; პოლკოვნიკ ლესოვოის, პოლკოვნიკ კოზიკოვის, პოდპოლკოვნიკ კისელიოვის, პოდპოლკოვნიკ როშკოვის, პოდპოლკოვნიკ კაიდაშის, პოდპოლკოვნიკ კარტაშოვის, პოდპოლკოვნიკ ემელიანოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ხრიუკინის, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ პაპივინის, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ სამოხინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბელოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ დაგაევის, ავიაციის გენერალ-მაიორ სმირნოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ უშაკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ივანოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ პრუტკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ ხატმინსკის, ავიაციის გენერალ-მაიორ შევჩენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ ჩუჩევის, ავიაციის გენერალ-მაიორ ნეჩიპორენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ ზახაროვის, ავიაციის გენერალ-მაიორ მოლოკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ სანდალოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ კოტლიარის, ავიაციის გენერალ-მაიორ ანდრეევის, ავიაციის გენერალ-მაიორ ალექსანდროვის, პოლკოვნიკ შინკარენკოს, პოლკოვნიკ ფოკინის, პოლკოვნიკ კურბატოვის, პოლკოვნიკ კუჩმას, პოლკოვნიკ მანჟოსოვის, პოლკოვნიკ კუროჩკინის, პოდპოლკოვნიკ სლუვენკოვის, პოდპოლკოვნიკ ზაკლეპას, პოდპოლკოვნიკ საუნევის, მაიორ დელფინოს მფრინავებმა; ვიცე-ადმირალ ვინოგრადოვის, 1-ლი რანგის კაპიტან კურნიკოვის, მე-2 რანგის კაპიტან კროხინის მეზღვაურებმა; პოლკოვნიკ გრიგორენკოს, პოლკოვნიკ სოკოლოვის, პოდპოლკოვნიკ კალნიცკის, მაიორ სტეპუკის, მაიორ ბრადულინის, კაპიტან ივანოვის მესანგრეებმა; პოლკოვნიკ დავიდენკოს მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ციხე-ქალაქ პილაუს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 აპრილს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ციხე-ქალაქი პილაუ.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ციხე-ქალაქ პილაუს დაკავებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 25 აპრილი. № 343

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ მალინოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ზახაროვს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 26 აპრილს, მარჯვე შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად, დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი ბრნო (ბრიუნი) — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი.

ქალაქ ბრნოს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ მანაგაროვის, გენერალ-ლეიტენანტ ტერენტიევის, გენერალ-ლეიტენანტ საფიულინის, გენერალ-მაიორ იაკოვლევის, გენერალ-მაიორ აფონინის, გენერალ-მაიორ მერკულოვის, გენერალ-მაიორ მილიაევის, გენერალ-მაიორ ობუშენკოს, გენერალ-მაიორ ესინის, გენერალ-მაიორ ზდანოვიჩის, პოლკოვნიკ ბალდინოვის, პოლკოვნიკ დობროვოლსკის, პოლკოვნიკ ბუშინის, პოლკოვნიკ სობოლევის, პოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ ბოჩკოვის, პოლკოვნიკ მალჩევსკის, პოლკოვნიკ სელეზნევის ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ პლიევის, გენერალ-ლეიტენანტ კამკოვის, გენერალ-მაიორ კუცის, გენერალ-მაიორ პავლოვის, გენერალ-მაიორ ხრუსტალევის, გენერალ-მაიორ ბელოუსოვის, გენერალ-მაიორ შმუილოს, პოლკოვნიკ რევის, პოლკოვნიკ გუბანოვის კავალერისტებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ფომინის, არტილერიის გენერალ-მაიორ ბუსევის, არტილერიის გენერალ-მაიორ პავლოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოპოვიჩის, პოლკოვნიკ პოგრელის, პოლკოვნიკ მარჩენკოს, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოლკოვნიკ მაკაროვის, პოლკოვნიკ კოროტეევის, პოლკოვნიკ ადამჩიკის, პოდპოლკოვნიკ მატიუხის, პოლკოვნიკ ვლადიმიროვის, პოლკოვნიკ გრიშინის, პოდპოლკოვნიკ კალინინის, პოდპოლკოვნიკ კისლის, პოდპოლკოვნიკ მისნიკის, პოდპოლკოვნიკ მოჟევსკის, პოდპოლკოვნიკ კლიმანოვის, მაიორ კოსტილევის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კურკინის, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ კრავჩენკოს, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ შტრომბერგის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ვოლკოვის, გენერალ-ლეიტენანტ სვირიდოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ საველიევის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კატკოვის, პოლკოვნიკ ლაპტევის, პოლკოვნიკ ლიაშჩენკოს, პოლკოვნიკ საფიულინის, პოლკოვნიკ ოსტაპენკოს, პოლკოვნიკ ვორონოვის, პოდპოლკოვნიკ ებუდკინის, პოდპოლკოვნიკ პროკოფიევის, პოდპოლკოვნიკ ემელიანოვის, პოდპოლკოვნიკ სოროჩინსკის, პოდპოლკოვნიკ მიხნოს ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ გორიუნოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სელეზნევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ კამანინის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ სტეპიჩევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ პოდგორნის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ტოლსტიკოვის, ავიაციის გენერალ-მაიორ სმირნოვის, პოლკოვნიკ შუტეევის, პოლკოვნიკ ჩიჟიკოვის, პოლკოვნიკ ბლაგოვეშჩენსკის, პოლკოვნიკ საპრიკინის, პოლკოვნიკ კლობუკოვის, პოლკოვნიკ სემენენკოს, პოლკოვნიკ იუდაკოვის, პოლკოვნიკ ტარანენკოს, პოლკოვნიკ ნედოსეკინის, პოლკოვნიკ გეიბოს, პოლკოვნიკ ულიანოვსკის, პოლკოვნიკ ტერეხოვის, პოლკოვნიკ რომანოვის, პოლკოვნიკ ჩანპალოვის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ცირლინის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ტუპიჩევის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ტიულევის, პოლკოვნიკ ფადეევის, პოლკოვნიკ ისაევის, პოლკოვნიკ მიასნიკოვის, პოდპოლკოვნიკ ბადაევის, პოდპოლკოვნიკ ვოროპიოვის, პოდპოლკოვნიკ გოლუკოვიჩის, მაიორ კოსტინის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ლეონოვის, პოლკოვნიკ მაკარენკოს, პოლკოვნიკ შერშუდის, პოლკოვნიკ დავიდოვის, მაიორ შიშელოვის, სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკ კარპოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ბრნოს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 აპრილს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ბრნო.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრნოს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 აპრილი. № 345.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
უმაღლესი მთავარსარდლისა
ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარების სარდალს საბჭოთა კავშირის მარშალ როკოსოვსკის
ფრონტის შტაბის უფროსს გენერალ-პოლკოვნიკ ბოგოლიუბოვს

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გადალახეს აღმოსავლეთი და დასავლეთი ოდერი შტეტინის სამხრეთით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა ოდერის დასავლეთ ნაპირზე და წინ წაიწიეს 30 კილომეტრით.

ბრძოლების მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს პომერანიის მთავარი ქალაქი და დიდი საზღვაო ნავსადგური — შტეტინი, აგრეთვე ქალაქები გარტცი, პენკუნი, კაზეკოვი, შვედტი.

გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და დასახელებული ქალაქების დაკავებისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ ბატოვის, გენერალ-პოლკოვნიკ პოპოვის, გენერალ-პოლკოვნიკ გრიშინის, გენერალ-ლეიტენანტ ბობკოვის, პოლკოვნიკ პეჩევსკის, გენერალ-ლეიტენანტ კინოსიანის, გენერალ-ლეიტენანტ დრატვინის, გენერალ-ლეიტენანტ ჩანიშევის, გენერალ-ლეიტენანტ რიაბიშევის, გენერალ-მაიორ ჩუვაკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ერასტოვის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსეევის, გენერალ-ლეიტენანტ სმირნოვის, პოლკოვნიკ ბელიაევის, პოლკოვნიკ ტრუდოლიუბოვის, პოლკოვნიკ მურატოვის, პოლკოვნიკ კარპელიუკის, გენერალ-მაიორ კირსანოვის, გენერალ-მაიორ ტიმოფეევის, გენერალ-მაიორ სოლოვიოვის, პოლკოვნიკ კალაძის, პოლკოვნიკ გოლუბევის, პოლკოვნიკ ვაროხინის, გენერალ-მაიორ გრებენიკის, გენერალ-მაიორ მაკაროვის, გენერალ-მაიორ ტერემოვის, პოლკოვნიკ ველიჩკოს, გენერალ-მაიორ ბორისოვის, გენერალ-მაიორ სკორობოგატკინის, გენერალ-მაიორ ჯანჯღავას, პოლკოვნიკ აფანასიევის, პოლკოვნიკ ოგიენკოს, პოლკოვნიკ ემელიანენკოს, პოლკოვნიკ ჩეტვერტუხინის, პოლკოვნიკ შეპელის, პოლკოვნიკ გორიჩევის, გენერალ-მაიორ გუსევის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ სოკოლსკის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ დეგტიარევის, არტილერიის გენერალ-მაიორ კარეპინის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ მიხელსონის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ ბესკინის, პოლკოვნიკ ზახაროვის, პოლკოვნიკ ლეონოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პეტროვის, პოლკოვნიკ დრობკოვის, პოლკოვნიკ ოსტანკოვიჩის, პოლკოვნიკ სუკაჩევის, პოლკოვნიკ მალიავსკის, პოლკოვნიკ დეგტიარენკოს, პოლკოვნიკ კულეშოვის, პოდპოლკოვნიკ ტიხონოვის, პოლკოვნიკ ვასილენკოს, პოლკოვნიკ რიბკინის, პოლკოვნიკ კულიჩუკის, პოლკოვნიკ აკიმუშკინის, პოლკოვნიკ ბორმოტინის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ჩერნიავსკის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ ნოვაკის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ პეტრუშინის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პანოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ შულგინის, პოდპოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ კონოვალოვის, პოლკოვნიკ იგონინის, პოდპოლკოვნიკ სივკოვის, პოლკოვნიკ ანტონოვის, პოდპოლკოვნიკ იგნატოვის, პოდპოლკოვნიკ რაზუვალოვის, პოლკოვნიკ ლოჟკინის, პოდპოლკოვნიკ კოჟემიაჩკოს, პოლკოვნიკ სოკოლოვის, მაიორ გელიუსის, მაიორ კაშკინის, პოდპოლკოვნიკ სიტკოვის, პოდპოლკოვნიკ სლობოდიანის, პოდპოლკოვნიკ შევჩენკოს, პოდპოლკოვნიკ პოვაროვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ვერშინინის, ავიაციის გენერალ-მაიორ ალექსეევის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ბაიდუკოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ოსიპენკოს, ავიაციის გენერალ-მაიორ ფედოროვის, პოლკოვნიკ პუშკარევის, ავიაციის გენერალ-მაიორ გეტმანის, პოლკოვნიკ სმოლოვიკის, პოლკოვნიკ კალუგინის, პოლკოვნიკ ტიხომიროვის, პოლკოვნიკ გრიშჩენკოს, პოლკოვნიკ ვინოგრადოვის, პოლკოვნიკ ვუსის, პოლკოვნიკ ოსიპოვის, პოლკოვნიკ იაკუშინის, პოლკოვნიკ რიბაკოვის, პოლკოვნიკ ვოლკოვის, პოლკოვნიკ პოკოევოის, პოდპოლკოვნიკ ბარდეევის, პოლკოვნიკ ტიურინის, პოდპოლკოვნიკ ელისეევის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბლაგოსლავოვის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ შვიდკოის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ვიტვინინის, პოლკოვნიკ ტრეტიაკოვის, პოდპოლკოვნიკ გულტიაევის, პოდპოლკოვნიკ პეტროვის, პოლკოვნიკ ბალანდინის, პოდპოლკოვნიკ ორდანოვსკის, პოლკოვნიკ ანდრეევის, პოლკოვნიკ შიტიკოვის, პოლკოვნიკ ვიზიროვის, პოლკოვნიკ ვინკოვის, პოლკოვნიკ დობიჩინის, მაიორ საქსის, მაიორ ვორონოვის, მაიორ კოჟინის, პოლკოვნიკ კლემენტიევის, მაიორ ზხეტინიკოვის, მაიორ ხარიტონოვის, პოდპოლკოვნიკ შჩუკინის, პოლკოვნიკ შტეინის, პოლკოვნიკ მიროტვორსკის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბორზოვის, პოლკოვნიკ ბორისოვის, პოდპოლკოვნიკ პროცეროვის, პოლკოვნიკ მიხაილოვის, პოლკოვნიკ ვოლოდკევიჩის, პოლკოვნიკ ხომიაკოვის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და შტეტინის და სხვა დასახელებული ქალაქების დაკავებისას ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „შტეტინის“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 26 აპრილს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით, ორას ოცდათოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ბელორუსიის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ოდერის დასავლეთ ნაპირზე და დაიკავეს დასახელებული ქალაქები.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას და დასახელებული ქალაქების დაკავებისას წარმოებულ ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1945 წლის 26 აპრილი. № 344.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ულ ე ბ ა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი მასშტაბის საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელობის დარგში უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა უნარიანი შესრულებისათვის, რის შედეგადაც მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების საქმეში — დაჯილდოებულ იქნას

„გამარჯვების“ ორდენით

საბჭოთა კავშირის მარშალი როდიონ იაკობის-ძე მალინოვსკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 26 აპრილი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ულ ე ბ ა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საბჭოთა კავშირის მარშალ თ. ი. ტოლბუხინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი მასშტაბის საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელობის დარგში უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა უნარიანი შესრულებისათვის, რის შედეგადაც მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებანი გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების საქმეში — დაჯილდოებულ იქნას

„გამარჯვების“ ორდენით

საბჭოთა კავშირის მარშალი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 26 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს XI სესია

საინფორმაციო ცნობა
კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1945 წლის 25 აპრილის სხდომების შესახებ

25 აპრილს, დღის 11 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს—კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი.

კავშირის საბჭო ისმენს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებას, რომელსაც აკეთებს დეპუტატი ტ. ი. ყულიევი.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ კავშირის საბჭო გადადის კამათზე. სხდომაზე კამათში გამოვიდნენ: რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი, დეპუტატი ლ. რ. კორნიეცი (უკრაინის სს რესპუბლიკა), დეპუტატი ა. ა. კუზნეცოვი (ლენინგრადის ოლქი), დეპუტატი ნ. ი. ნატალევიჩი (ბელორუსიის სს რესპუბლიკა), დეპუტატი მ. ა. გედვილასი (ლიტვის სს რესპუბლიკა), დეპუტატი მ. ი. როდიონოვი (გორკის ოლქი), დეპუტატი ი. ი. ვარესი (ესტონეთის სს რესპუბლიკა), დეპუტატი ვ. პ. პოტიომკინი (რსფს რესპუბლიკა).

საღამოს 6 საათზე შესდგა ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარეობს — ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი.

ეროვნებათა საბჭო ისმენს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებას, რომელსაც აკეთებს დეპუტატი ი. ს. ხოხლოვი.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის კამათზე. სხდომაზე კამათში გამოვიდნენ: მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. მ. პოპოვი, დეპუტატი ი. ს. გრუშეცკი (უკრაინის სს რესპუბლიკა), დეპუტატი ვ. ტ. ლაცისი (ლატვიის სს რესპუბლიკა), დეპუტატი მ. მირ კასიმოვი (აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა), სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. გ. ა. მიტერევი, დეპუტატი ს. გ. ხოშტარია (საქართველოს სს რესპუბლიკა), დეპუტატი ტ. ნ. კარი-ნიიაზოვი (უზბეკეთის სს რესპუბლიკა), დეპუტატი გ. ა. დინმუხამეტოვი (თათრეთის ასს რესპუბლიკა), დეპუტატი ა. ტ. ვეიმერი (ესტონეთის სს რესპუბლიკა).

საინფორმაციო ცნობა
ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს 1945 წლის 26 აპრილის სხდომათა შესახებ

გუშინ, 26 აპრილს, დღის 11 საათზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი მ. ფ. კულაგინი.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო. კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი ტ. ა. კონსტანტინოვი (მოლდავეთის სს რესპუბლიკა), დეპუტატი პ. ს. პროკონენი (კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკა), დეპუტატი გ. ჩულანოვი (ყაზახეთის სს რესპუბლიკა), დეპუტატი ვ. ი. სედიხი (ბელორუსიის სს რესპუბლიკა), დეპუტატი ლ. გ. ოსიპიანი (სომხეთის სს რესპუბლიკა), დეპუტატი რ. ქ. იბრაგიმოვი (ბაშკირეთის ასს რესპუბლიკა), დეპუტატი ა. ი. ვენცლოვა (ლიტვის სს რესპუბლიკა), დეპუტატი ქ. ჯანალიევი (ყირგიზეთის სს რესპუბლიკა), სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ს. ვ. კაფტანოვი, დეპუტატი კ. დ. კულოვი (ჩრდილოეთ-ოსეთის ასს რესპუბლიკა).

საღამოს 6 საათზე შესდგა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი უ. იუსუპოვი.

დღის წესრიგშია კამათი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო. კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი ი. ე. კალნბერზინი (ლატვიის სს რესპუბლიკა), დეპუტატი მ. ყურბანოვი (ტაჯიკეთის სს რესპუბლიკა), დეპუტატი ი. ვ. ვასილიევი (ვორონეჟის ოლქი), დეპუტატი ნ. ი. მუსხელიშვილი (საქართველოს სს რესპუბლიკა), დეპუტატი ს. მ. შაროფეევი (თათრეთის ასს რესპუბლიკა), სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. პ. ვ. სმირნოვი, დეპუტატი ფ. რ. ვასილიევი (სმოლენსკის ოლქი), დეპუტატი კ. ვ. შურშინა (ბრიანსკის ოლქი), დეპუტატი პ. ს. ტარასოვი (მოსკოვის ოლქი), დეპუტატი სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის მოადგილე ი. პ. ბარდინი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვი და საბჭოთა დელეგაციის წევრები სან-ფრანცისკოს ჩავიდნენ

სან-ფრანცისკო, 24 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილით სან-ფრანცისკოს თვითმფრინავით ჩამოვიდნენ ვ. მ. მოლოტოვი და საბჭოთა დელეგატები სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე. ამხანაგ მოლოტოვთან ერთად ჩამოვიდნენ: ამხ. გრომიკო, სობოლევი, ცარაპკინი, სლავინი, გოლუნსკი, კრილოვი, კუზნეცოვი და გენერალი ვასილიევი. საბჭოთა დელეგატები ამხ. როდიონოვი და ლავრენტიევი უფრო ადრე ჩამოვიდნენ. აეროდრომზე ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვს მიესალმნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში ჰარიმანი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები ბოლენი და დრიუ, კონფერენციის საოქმო ნაწილის წარმომადგენელი ჩეპინი, აგრეთვე ამხანაგები ლავრენტიევი, როდიონოვი, საბჭოთა კონსული სან-ფრანცისკოში ამხ. ვაზილოვი და სხვა საბჭოთა წარმომადგენლები.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვი სან-ფრანცისკოში

სან-ფრანცისკო, 25 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). შესდგა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ვ. მ. მოლოტოვი, ე. სტეტინიუსი, ა. იდენი და სუნ ძი-ვენი. თათბირი დამთავრდა 10 საათსა და 30 წუთზე გრინვიჩის დროით. თათბირის მონაწილეებს პრესის წარმომადგენელთათვის არავითარი განცხადება არ გაუკეთებიათ.

სან-ფრანცისკოში გაიხსნა გაერთიანებულ ერთა კონფერენცია

სან-ფრანცისკო, 25 აპრილი. (საკდესი). დღეს 16 საათსა და 30 წუთზე წყნარი ოკეანის დროით, ე. ი. 26 აპრილს 2 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით, გაიხსნა გაერთიანებულ ერთა კონფერენცია მშვიდობიანობისა და უშიშროების დაცვის საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების მოსამზადებლად. კონფერენციას 850-ზე მეტი დელეგატი ესწრება.

კონფერენციის პირველი პლენარული სხდომა გახსნა მისმა დროებითმა თავმჯდომარემ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ე. სტეტინიუსმა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გ. ტრუმენმა ვაშინგტონიდან რადიოთი წარმოთქმული სიტყვით მიმართა კონფერენციის მონაწილეებს; მიმართვაში მან ხაზგასმით აღნიშნა კონფერენციის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა.

კონფერენციას მიესალმნენ კალიფორნიის შტატის გუბერნატორი უორენი და ქალაქ სან-ფრანცისკოს მერი.

ედლის განცხადება

სან-ფრანცისკო, 24 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). ინგლისის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ეტლიმ, რომელიც სან-ფრანცისკოში პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, განაცხადა, ინგლისი მხარს დაუჭერს საბჭოთა კავშირის წინადადებას იმის შესახებ, რომ ბელორუსიასა და უკრაინას ასამბლეაში ცალკე ადგილები მიეცეთ.

უპასუხა რა შეკითხვაზე, რა საფუძვლები არსებობს ასეთი წარმომადგენლობისთვის, ეტლიმ განაცხადა, რომ ამ რესპუბლიკებს დამოუკიდებელი დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ.

უკანასკნელი ცნობები

გერინგი გაქრა

სტოკჰოლმი, 26 აპრილი. (საკდესი). დღეს საღამოს ჰიტლერულმა რადიომ ცნობა გამოაქვეყნა, რომ გერმან გერინგმა ითხოვა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის პოსტიდან გადადგომა და ეს „გულის ავადმყოფობით" დაასაბუთა. ჰიტლერმა „დააკმაყოფილა გერინგის თხოვნა" და მის ადგილას დანიშნა გენერალი რიტერ ფონ გრაიმი.

გერინგის სახელი დღეს ჰიტლერული რადიოს გადაცემაში პირველად არის მოხსენებული მის შესახებ დუმილის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. როგორც ჩანს, ცნობა გერინგის გადადგომის შესახებ წარმოადგენს იმის საშუალებას, რომ შენიღბულ იქნას ერთ-ერთ ნეიტრალურ ქვეყანაში მისი გაქცევა ან ჰიტლერულ იატაკქვეშეთში წასვლა.

საფრანგეთში პეტენის დაბრუნების გამო

პარიზი, 26 აპრილი. (საკდესი). კარგად [illegible] პეტენს პარიზში მოელიან 27 აპრილს. [illegible]

კავშირის საბჭოს სხდომა

25 აპრილს სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს XI სესია განაგრძობდა მუშაობას. დილის 11 საათზე დაიწყო კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი და კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები ტ. დ. ლისენკო და უ. იუსუპოვი. ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები. დეპუტატები და სტუმრები მათ ტაშით ეგებებიან.

დღის წესრიგშია საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება და ბიუჯეტის განხილვა.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საბიუჯეტო კომისიის წევრს დეპუტატ ტ. ი. ყულიევს.

დეპუტატი ყულიევი აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სავსებით შეესაბამება იმ სამხედრო და სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს წინაშე დგას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დამამთავრებელ ეტაპზე.

— საბიუჯეტო კომისია, — ამბობს დეპუტატი ყულიევი, — განსაკუთრებული კმაყოფილებით უჭერს მხარს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებას იმის შესახებ, რომ სამხედრო ხარჯები 1945 წლისათვის განისაზღვროს 137.881.400 ათასი მანეთის რაოდენობით. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საჭიროებისათვის ომის მეოთხე წლის დამლევს ასეთ ასიგნობათა გათვალისწინება იმას მოწმობს, რომ საბჭოთა სა- [illegible]

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

პირველი გამოდის რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი. იგი ლაპარაკობს მხურვალე და ერთსულოვან მოწონებაზე, რომლითაც საბჭოთა ხალხი შეხვდა საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთთან და იუგოსლავიასთან ამას წინათ დადებულ ხელშეკრულებებს, და დეპუტატებისა და სტუმრების ტაშის გრიალში სალამს უთვლის პოლონეთის რესპუბლიკისა და იუგოსლავიის მოსახლე მეგობარ ხალხებს.

ამხ. კოსიგინი რწმენას გამოთქვამს, რომ სამხედრო საჭიროებისათვის თითქმის 137,9 მილიარდი მანეთის ასიგნობანი ერთსულოვნად იქნება მოწონებული მთელი საბჭოთა ხალხის მიერ, ვინაიდან ეს ასიგნობანი შეესაბამებიან ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურების ამოცანას.

ახასიათებს რა რუსეთის ფედერაციის ახალ ბიუჯეტს, ორატორი ლაპარაკობს აღდგენითს სამუშაოებზე გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში და აღნიშნავს პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას სახალხო ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისათვის.

შემდეგ გამოდის დეპუტატი ლ. რ. კორნიეცი. იგი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X და XI სესიათა შორის განვლილი პერიოდი მდიდარია უმნიშვნელოვანესი ამბებით.

დეპუტატი კორნიეცი ამბობს, რომ უკრაინელი ხალხი ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების ხელმოწერას. ეს ხელშეკრულება ბოლოს უღებს სსრ კავშირისა და პოლონეთის ძველ მტრულ დამოკიდებულებას. პოლონეთის წინანდელ [illegible]

დეპუტატი კუზნეცოვი ლაპარაკობს ლენინგრადელთა თავდადებულ შრომაზე, რომელნიც ძალ-ღონის დაუზოგავად ეწევიან ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული ცენტრის მრეწველობისა და საქალაქო მეურნეობის აღდგენას.

დეპუტატი კუზნეცოვი პირობას აძლევს სესიას, რომ, მიუხედავად სიძნელეებისა, ლენინგრადელები ღირსეულად გაართმევენ თავს ყველა ამოცანას, რომლებიც მათ წინაშე [illegible]

კავშირის ყველა ხალხს და პირველ რიგში დიდ რუს ხალხს, მშობლიურ წითელ არმიას, ამხანაგ სტალინს, ორატორი სესიას სთხოვს გათვალისწინოს ბიუჯეტით ასიგნობანი კლაიპედის ოლქის მეურნეობისა და კულტურის აღდგენისათვის და შესაბამისად გაადიდოს ლიტვის სს რესპუბლიკის ბიუჯეტი.

დეპუტატი მ. ი. როდიონოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ომის მეოთხე წლის ბიუჯეტში, როდესაც ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები და [illegible]

[illegible]

ზაციას. მოსკოვის მშრომელნი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად განსაკუთრებული აღფრთოვანებით დაუჭერენ მხარს ომის ძლევამოსილად დამთავრებისათვის 137,9 მილიარდი მანეთის ასიგნებას. ამხ. პოპოვი აღნიშნავს დედაქალაქის მრეწველობის მნიშვნელოვან წარმატებებს უკანასკნელ წელს, მის გაზრდილ როლს ფრონტისათვის სამხედრო ტექნიკის [illegible]

[illegible] თავდადებული შრომით ეწევა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას, ამასთან ეყრდნობა საკავშირო მთავრობისა და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებას.

ამხ. ლაცისი აღნიშნავს, რომ ლატვიის მშრომელნი სავსებით იწონებენ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას. ისინი იწონებენ იუგოსლავიასთან და პოლონეთის რეს- [illegible]

[illegible] იმას, რომ 1945 წელს შესასრულებელ სამშენებლო სამუშაოთა უდიდესი მასშტაბები გადაჭრით მოითხოვენ სამშენებლო მასალების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას, კერძოდ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში.

დეპუტატი ტ. ნ. კარი-ნიიაზოვი თავის გამოსვლას მიუძღვნის უზბეკი ხალხის მონაწი- [illegible]

[illegible] შესამჩნევ მეტს შეადგენენ 1941 წელთან შედარებით საბიუჯეტო ასიგნობათა ზრდა მოწმობს, რომ მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, საბჭოთა სახელმწიფოს უნარი შესწევს დააკმაყოფილოს დიდ საბჭოთა კავშირში გაერთიანებულ ხალხთა მზარდი სამეურნეო და კულტურული მოთხოვნილებანი.

ამხ. ვეიმერის გამოსვლით ეროვნებათა საბჭოს სხდომა მთავრდება. (საკდესი).

ეროვნებათა საბჭოს სხდომა

[illegible]

25 ჰიდროელექტროსადგური

მოსკოვი, 23 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა დამტკიცა საქართველოს სს რესპუბლიკაში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გეგმა. გადაწყვეტილია წელს საქართველოში აშენდეს 1,700 კილოვატი საერთო სიმძლავრის 25 პატარა ჰიდროსადგური, მათ შორის 10 ჰიდროელექტროსადგური ამუშავდება 1945 წელს. გარდა ამისა, მოქმედი ელექტროსადგურების ქსელში ჩართულ იქნება 300 კილოვატი საერთო სიმძლავრის [illegible]

გადაწყვეტილია ახლად მშენებარე ელექტროდანადგარებიდან ელექტროენერგიით უზრუნველყოფილ იქნან პირველ რიგში სარემონტო სახელოსნოები, წისქვილები, ლეწვა, მეცხოველეობის ფერმები, სარწყავი სატუმბავი დანადგარები, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროება.

გადაწყდა სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ცხაკაიასა და თბილისში გაიხსნას საქართველოს სასოფლო ელექტროსადგურთა ტრესტის [illegible]

სამხრეთის კურორტების აღდგენა
(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის ჯანსახკომის მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილემ ანდრეევმა, რომელიც ყირიმიდან დაბრუნდა, გვიამბო კურორტების აღდგენის მუშაობისა და წელს საკურორტო სეზონის პერსპექტივების შესახებ. მოკლე ხანში მედიცინის მუშაკებისა და მოსახლეობის მონაწილეობით აღდგენილია კურორტების ზოგიერთი შენობა, რომლებიც დაზიანებული იყო ფაშისტთა ოკუპაციის დროს. იალტასა, ევპატორიასა, მისხორ [illegible]

სხვადასხვა სანატორიუმები. განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა ბავშვთა სანატორიულ მკურნალობას. ფართოვდება პიონერთა საკავშირო ბანაკი არტეკი. ჩვეულებრივ სახეს იღებს ჟელეზნოვოდსკი. სამკურნალო წყაროები აღდგენილია. ბალნეოლოგიური კლინიკა და აბაზანები განუწყვეტლივ იღებენ ცხელ მინერალურ წყალს.

მიმდინარე წლის სეზონში მარტო ყირიმის სამხრეთი ნაპირის სანატორიუმებში მოწყობილ იქნება [illegible]

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს XI სესია

სსრ კავშირის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1943 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1945 წლის 24 აპრილს *

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XI სესია დიად ისტორიულ დღეებში შეიკრიბა.

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით გმირმა წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა ჰიტლერულ არმიას და ახლა მტერს მის საკუთარ ბუნაგში ანადგურებს. (მქუხარე ტაში).

წითელმა არმიამ ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა მიწა-წყალი გასწმინდა ფაშისტური სიბილწისაგან, გაათავისუფლა პოლონეთი და ჩეხოსლოვაკიის მნიშვნელოვანი ნაწილი, დახმარება გაუწია იუგოსლაველ ხალხს მის წარმატებით განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მწყობრიდან გამოიყვანა გერმანიის უკანასკნელი მოკავშირენი ევროპაში.

ჩვენმა მამაცმა ჯარებმა დაიკავეს აღმოსავლეთი პრუსია, პომერანიის, გერმანული სილეზიის, ბრანდენბურგის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბრძოლებს იწყებიან გერმანიის დედაქალაქ ბერლინში (მქუხარე ხანგრძლივი ტაში) და ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ამთავრებენ მტრის სრულ განადგურებას.

ეს უდიდესი წარმატებანი მოწმობენ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერებას, წითელი არ-...

[...]

1943 და 1944 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

[...]

...წეულია სამხედრო მრეწველობასა და მანქანათმშენებლობაში. საერთოდ, საავიაციო მრეწველობაში თვითღირებულება 1943 წელთან შედარებით შემცირებულია 7,3 პროცენტით, სატანკო მრეწველობაში—12,8 პროცენ-

*) იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

სსრ კავშირის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

[...]

შემოსავალი სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან

[...]

...წელს, სამხედრო პროდუქციის წარმოების და საწარმოო საშუალებათა დიდ ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გავადიდოთ ფართო მოხმარების საგნების წარმოება. ამით უზრუნველყოფილია საცალო საქონელბრუნვის მოცულობის არსებითი გადიდება და, ამასთან ერთად, ბიუჯეტის შემოსავლის გადიდება ბრუნვის გადასახადის ხაზით.

ჩვენს ქვეყანას დიდი შესაძლებლობანი მოეპოვება ფართო მოხმარების საგნების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. მაგრამ ეს შესაძლებლობა სრულიადაც არ არის მთლიანად გამოყენებული. საფეიქრო, მსუბუქი და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატებმა უნდა იზრუნონ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებისთვისაც. ...

...დაგროვების გეგმის შესრულება მოითხოვს წარმოების ტექნიკისა და ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას, მოწინავე საწარმოთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. დაგროვების გეგმის შესრულება მოითხოვს მასალის, სათბობის, ელექტროენერგიისა და ხელფასის ფონდების მომჭირნედ ხარჯვას, წუნის, ნარჩენებისა და სხვა უნაყოფო ხარჯების შემცირებას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სახალხო მეურნეობაში დაგროვების გადიდებისათვის საჭიროა: „უყაირათობის აღმოფხვრა, მრეწველობის შინარესურსების მობილიზაცია, სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და განმტკიცება ყველა ჩვენს საწარმოში, თვითღირებუ-...

[...]

მოსახლეობისაგან შემოსული სახსრები

[...]

სამხედრო ხარჯების დაფინანსება

[...]

...გაიზარდა 30,6 პროცენტით, აქედან დონბასის აღდგენილი შახტების წილად მოდის 18,6 პროცენტი. ლითონის საკმაოდ დიდ რაოდენობას უკვე იძლევიან სამხრეთის ქარხნები. ორიათასზე მეტმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა განაახლა თავისი მუშაობა განთავისუფლებულ რაიონებში; ისინი კოლმეურნე გლეხობას ეხ-...

სახალხო მეურნეობის დაფინანსება

[...]

...ჯების ძალიან მნიშვნელოვანი გადიდება სსრ კავშირის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების მიხედვით ასიგნობათა აღნიშნული თანხა შემდეგნაირად ნაწილდება:

(მილიარდ მანეთობით)

	1944 წელი შესრულება წინასწარი ცნობებით	1945 წელი	ზრდა 1944 წელთან შედარებით პროცენტობით
სულ სახალხო მეურნეობაზე	49,0	64,6	31,8
მათ შორის:			
მრეწველობა	27,3	35,9	31,5
სოფლის მეურნეობა	7,0	9,2	31,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	7,7	9,8	27,3
ვაჭრობა და დამზადებანი	1,2	1,7	41,7
კომუნალური და საბინაო მეურნეობა	1,8	2,9	61,1

1945 წელს სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად ხარჯების გადიდება ძირითადად დაკავშირებულია კაპიტალური მშენებლობისათვის და, პირველ რიგში, განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო ხარჯების ზრდასთან.

კაპიტალურ სამუშაოთა 1945 წლისათვის დასახული პროგრამის შესრულება ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებს ავალებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ მშენებლობის გაიაფების საკითხებს.

1945 წელს წარმოების მოცულობის ზრდა მოითხოვს სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრების გადიდებას. საკუთარი საბრუნავი სახსრების ოდენობა, რაც საჭიროა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებისათვის, 1945 წელს განსაზღვრულია 66,0 მილიარდი მანეთით, ნაცვლად 59,2 მილიარდი მანეთისა 1944 წელს, ე. ი. დიდდება 6,8 მილიარდი მანეთით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე—3,2 მილიარდი მანეთით.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

სსრ კავშირის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია აგრეთვე ხარჯების გადიდება სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. ეს ხარჯები 1944 წლის 51,1 მილიარდი მანეთიდან დიდდება 66,1 მილიარდ მანეთამდე 1945 წელს, ე. ი. 15,0 მილიარდი მანეთით. ცალკე ღონისძიებათა მიხედვით ასიგნობანი განსაზღვრულია შემდეგი რაოდენობით:

(მილიონ მანეთობით)

	1944 წელი შესრულება წინასწარი ცნობებით	1945 წელი	ზრდა 1944 წელთან შედარებით პროცენტობით
განათლება	20.440	28,591	39,9
ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური კულტურა	10.210	13.194	29,2
სახელმწიფო სოციალური დაზღვევა	3.856	5.202	34,9
სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს	872	1.407	61,3
სოციალური უზრუნველყოფა	15.686	17.695	12,8

მმართველობის ხარჯები

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავი ხარჯები 1945 წლისათვის დაპროექტებულია 9,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით, მათ შორის საკავშირო ბიუჯეტით—3,1 მილიარდი მანეთი და მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტებით—6,4 მი-...

...და ხარჯები მის შესანახავად შესამჩნევად იყო შემცირებული. სამმართველო აპარატის შემცირების ხარჯზე ჩვენმა მრეწველობამ, ტრანსპორტმა და მეურნეობის სხვა დარგებმა დამატებით მიიღეს მუშახელის ერთგვარი რაოდენობა. მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში...

[...]

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები

[...]

ცალკე მოკავშირე რესპუბლიკათა 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები წარმოდგენილია შემდეგი თანხებით:

(მილიონ მანეთობით)

	1944 წელი შესრულება წინასწარი ცნობებით	1945 წელი	ზრდა 1944 წელთან შედარებით პროცენტობით
რსფსრ	23.556	28.588	21,4
უკრაინის სსრ	5.355	9.124	70,4
ბელორუსიის სსრ	720	2.377	230,1
აზერბაიჯანის სსრ	971	1.183	21,8
საქართველოს სსრ	1.223	1.456	19,0
სომხეთის სსრ	572	650	13,6
თურქმენეთის სსრ	417	516	23,7
უზბეკეთის სსრ	1.719	2.160	25,7
ტაჯიკეთის სსრ	498	651	30,7
ყაზახეთის სსრ	1.437	1.885	31,2
ყირგიზეთის სსრ	407	562	38,1
კარელია-ფინეთის სსრ	153	288	88,3
მოლდავეთის სსრ	170	540	217,7
ლიტვის სსრ	169	728	330,8
ლატვიის სსრ	156	792	407,7
ესტონეთის სსრ	130	698	436,9
ს უ ლ	37.653	52.198	38,6

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების ზრდა ომის მეოთხე წელს მოწმობს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შემდგომ წარმატებებს. დიდი სამამულო ომის წლებში კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობა.

[...]

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 აპრილის ოპერატიული ცნობა

ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა 25 აპრილს დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტი ზემლანდის ნახევარკუნძულზე — ციხე-ქალაქი პილაუ — დიდი ნავსადგური და გერმანელთა სამხედრო-საზღვაო ბაზა ბალტიის ზღვაზე, აგრეთვე დაიკავეს დასახლებული პუნქტები ლოხშტადტი, ნოიჰოიზერი, ჰიმელრაიხი, პლანტაგე, კამსტიგალი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გადაჭრეს ბერლინიდან დასავლეთისაკენ მიმავალი ყველა გზა, 25 აპრილს პოტსდამის ჩრდილო-დასავლეთით შეუერთდნენ უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებს და, ამრიგად, დაამთავრეს ბერლინის სრული გარემოცვა.

ბრძოლების მსვლელობაში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ელშტალი, როურბეკი, მარკვარდტი და ბერლინის გარეუბნები ფალკენზეე, ფალკენჰაგენი, ლაგერ-დებერიცი. ამავე დროს ფრონტის ჯარები ქუჩის ბრძოლებს განაგრძობდნენ ბერლინის ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ამასთან დაიკავეს ქალაქის რაიონები ტრეპტოვი და ბრიცი. ოდერის ფრანკფურტის სამხრეთ-დასავლეთით ფრონტის ჯარებმა ბრძოლით დაიკავეს ქალაქები მიულიეროზე და ფრიდლანდი. 24 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 3.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 297 თვითმფრინავი, 110 საველე ქვემეხი, 1.130 ავტომანქანა, 16 ორთქლმავალი, 1.311 სარკინიგზო ვაგონი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი კეტცინი და ბერლინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაიკავეს ქალაქის რაიონები ლიხტერფელდე, ცელენდორფი. ქალაქ კოტბუსის ჩრდილოეთით ფრონტის ჯარებმა დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი პაიტცი და დიდი დასახლებული პუნქტები დისენი, ბურგი, კრაუსნიკი, ბრიზენი. დრეზდენის ჩრდილო-დასავლეთით ფრონტის ჯარებმა მდინარე ელბა გადალახეს და მდინარის დასავლეთ ნაპირზე დაიკავეს ქალაქი რიზა. ბაუცენის რაიონში ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშებს იგერიებდნენ და დიდი ზარალი მიაყენეს მას. 24 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 3.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 22 თვითმფრინავი და 70 საველე ქვემეხი.

ბერლინის დასავლეთით უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა გერმანელთა ტყვეობიდან გაათავისუფლეს საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ერიო.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ ბოდონინის ჩრდილო-დასავლეთით უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის მილეშოვიცე, ლინზარტსკე-ვაჟანი, ბლაჟოვიცე, ტვაროჟნა, ლიშენი, ჩერნოვიცე, პრჟიხუენიცე, ოსტოპოვიცე, ომიცე და ბრძოლები გააჩაღეს ქალაქ ბრნოს გარეუბნებში. ბრნოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე აეროდრომზე ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 18 თვითმფრინავი.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

24 აპრილს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 76 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 99 თვითმფრინავი.

26 აპრილის ოპერატიული ცნობა

26 აპრილის განმავლობაში ქალაქ პილაუს სამხრეთ-დასავლეთით ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებმა გადალახეს არხი, რომელიც ბალტიის ზღვას ფრიშ ჰაფის ყურესთან აერთებს, და ავითარებდნენ შეტევას ფრიშ ნერუნგის ისარაზე.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა გადალახეს აღმოსავლეთი და დასავლეთი ოდერი შტეტინის სამხრეთით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული თავდაცვა ოდერის დასავლეთ ნაპირზე და წინ წაიწიეს 30 კილომეტრით. ბრძოლების მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს პომერანიის მთავარი ქალაქი და დიდი საზღვაო ნავსადგური შტეტინი, აგრეთვე ქალაქები გარტცი, პენკუნი, კაზეკოვი, შვედტი, დიდი დასახლებული პუნქტები შტევენი, შვენენცი, გლაზოვი, გაგემიული, ფრიდეფელდი, ბრიუნცი, ვარტინი, ბლიუმბერგი, შტენდელი, ფირადენი და გადალახეს არხი რანდოვი.

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლებს ბერლინის ქუჩებში და დაიკავეს ქალაქის რაიონები გარტენშტადტი, სიმენსშტადტი და ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში გერლიცის ვაგზალი. ბერლინის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფრონტის ჯარებმა დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტები ფინოვი, ფინოვფურტი, მარიენვერდერი. ფრანკფურტის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ოდერზე ფრონტის ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქები კენიგს-ვუსტერჰაუზენი, ნოიე-მიული, შტორკოვი, ბეესკოვი, ლიბეროზე და დიდი დასახლებული პუნქტები ზენციგი, გუსოვი, გროს-შაუენი, დამსდორფი, ჰერცბერგი, გერსდორფი, შტრემენი, ტრებაჩი, მიტვეიდე, გროს-ლეიტენი, მოხოვი. 25 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 70 თვითმფრინავი, 30 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 248 საველე ქვემეხი, 1.467 ავტომანქანა, 58 ორთქლმავალი, 3.404 რკინიგზის ვაგონი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს ბერლინის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ქუჩებში და დაიკავეს ქალაქის რაიონი დალემი. მდინარე ელბის დასავლეთ ნაპირზე ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ტორგაუ და სტრელა. ბაუცენის რაიონში ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების კონტრიერიშების მოგერიებას. 25 აპრილის ბრძოლებში ფრონტის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 1.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს 228 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი და 236 საველე ქვემეხი.

ბრესლაუში ჩვენი ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ ქალაქის დასავლეთი ნაწილის ქუჩებში, სადაც დაიკავეს 26 უბანი, რამდენიმე საქარხნო რაიონი და არსენალის უდიდესი ნაწილი, სადაც ხელთ იგდეს 110 ქვემეხი.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობენ, 26 აპრილს მარჯვე შემოვლითი მანევრისა და ფრონტიდან იერიშის შედეგად დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის დიდი სამრეწველო ცენტრი ქალაქი ბრნო (ბრიუნი) — გზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ველეშოვიცე, ეზერა, მოკრა, მალომერჟიცე, ობრჟანი, კობოუტოვიცე, ჟებეტინი.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

25 აპრილს ყველა ფრონტზე დაზიანებული და განადგურებულია გერმანელთა 125 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 82 თვითმფრინავი.

* * *

მდინარე ოდერის აღმოსავლეთ ნაპირზე, შტეტინის სამხრეთით მყოფი ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. საბჭოთა მებრძოლებს უძნელესი ამოცანა ჰქონდათ შესასრულებელი — უნდა გადაელახათ აღმოსავლეთი და დასავლეთი ოდერი და ამ მდინარეების შუა მდებარე დაჭაობიანებული ნოლა 2-დან 4 კილომეტრამდე სიგა-

[...]

ლეს სიმენს შტადტის, საქარხნო რაიონში. სიმენსის ქარხნების ნახევრადდანგრეულ შენობებში ჩასაფრებული გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ჩვენმა მოიერიშე ჯგუფებმა დაიკავეს განმანაწილებელ მოწყობილობათა ქარხანა, დინამომანქანების ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

დღის ბოლოს საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს

[...]

ძნელ გასავლელი ქარხნები.

* * *

ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარები წარმატებით შეტევას განაგრძობდნენ. ბერლინის ჩრდილოეთ რაიონებში საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა ჰიტლერელთაგან გაწმინდეს ტეგელის ტყე, დაიკავეს სამხედრო ყაზარმები და ფართო ფრონტით მიადგნენ ბერლინ-შპანდაუერ შიფარტსის არხის ჩრდილოეთ ნაპირს. საბჭოთა არტილერისტებმა და მფრინავებმა მძლავრი დარტყმებით ჩააჩუმეს გერმანელთა ბატარეები, რომლებიც განლაგებული იყვნენ ფოლკს პარკში არხის სამხრეთ ნაპირზე. ჩვენი ჯარები არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ გადავიდნენ არხზე და ბრძოლები გააჩა-

[...]

უბნებში. ამასობაში ჩვენმა სხვა ნაწილებმა დასავლეთიდან მოუარეს ბრნოს, უკანდასახევი ყველა გზა გადაუჭრეს მტრის გარნიზონს და ქალაქში შეიჭრნენ ჩრდილო-დასავლეთიდან. ქუჩებში გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. ქვემეხებითა და ტანკებით გაძლიერებული საბჭოთა მოიერიშე ჯგუფები შეუპოვრად მიიწევდნენ წინ და ზედიზედ სწმენდდნენ უბნებს ჰიტლერელთაგან. მოწინააღმდეგემ სცადა დასავლეთიდან გაჰრილიყო თავისი გარნიზონის დასახმარებლად, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დღეს გაანადგურეს გერმანელთა გარნიზონი და დაიკავეს ბრნო — ჩეხოსლოვაკიის მეორე ქალაქი პრაღის შემდეგ. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა და ბევრი ტყვე.

თამბირი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და გადამუშავების საკითხებზე

(სამტრედია, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სამტრედიაში შესდგა საქართველოს ჩაის ფაბრიკებისა და ჩაის საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, აგრონომების, ტექნოლოგებისა და ტიტესტერების რესპუბლიკური თათბირი.

მიმდინარე წელს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის, დამზადების და გადამუშავების ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ტრესტ „საქართველოს ჩაის" მმართველმა ამხ. მ. სარჯველაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შარშან ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა 100,1 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ხარისხი ყველგან არ იყო დამაკმაყოფილებელი. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგან დაარღვიეს ჩაის ფოთლის კრეფის წესები, ფაბრიკების ხელმძღვანელი მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ხარისხს. მოკრეფილ ჩაის მიმღები პუნქტებიდან ფაბრიკებში დროულად არ გზავნიდნენ, რის გამო ეცემოდა ფოთლის ხარისხი. ფოთლის ხარისხს მიმღებ პუნქტებში სწორად არ საზღვრავდნენ—მესამე ხარისხის ჩაის ფოთოლს მეორე ხარისხშიც იღებდნენ და პირიქით. ჩაის მიმღები პუნქტები და ფაბრიკები ვალდებული არიან გაითვალისწინონ შარშანდელი გაკვეთილები, არ დაუშვან აღნიშნული ნაკლოვანებანი.

[...]

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხი

მოგებათა მეხუთე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მეხუთე ტირაჟში მოგებები ხვდა სესხის მოგებიანი გამოშვების ყველა 118 თანრიგში სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
000091	36*)	1000	010825	42*)	1000
000419	23*)	1000	010911	1—50	500
000577	47*)	25000	011175	1—50	200
000625	23*)	1000	011191	1—50	500
000686	1—50	200	011249	39*)	5000
001168	01*)	1000	011463	13*)	1000
001343	1—50	200	011480	39*)	1000
001431	1—50	200	011506	1—50	200
001670	07*)	1000	011516	18*)	1000
001956	1—50	500	011744	29*)	1000
001961	1—50	200	012132	07*)	1000
001968	21*)	1000	012309	1—50	200
002261	1—50	200	012371	09*)	1000
002472	33*)	1000	012398	38*)	1000
002506	1—50	500	012439	07*)	1000
002672	05*)	1000	012509	1—50	200
002955	38*)	1000	012530	1—50	500
002961	24*)	1000	012596	07*)	1000
003140	12*)	1000	012625	34*)	1000
003141	18*)	1000	012663	1—50	500
003210	45*)	1000	012689	1—50	200
003267	1—50	500	012716	1—50	500
003350	1—50	200	012799	1—50	500
003573	05*)	1000	012893	26*)	1000
003770	1—50	200	012913	07*)	1000
003805	14*)	1000	012941	1—50	500
004275	08*)	10000	013018	41*)	1000
004278	31*)	5000	013099	41*)	1000
004287	13*)	1000	013141	13*)	10000
004448	50*)	1000	013170	14*)	1000
004541	16*)	1000	013275	1—50	200
004604	09*)	1000	013470	32*)	1000
004645	31*)	1000	013507	36*)	1000
004671	07*)	1000	013586	1—50	200
004868	46*)	1000	013747	44*)	1000
004923	25*)	5000	013859	1—50	200
005008	20*)	1000	013879	08*)	1000
005076	1—50	500	013884	25*)	1000
005116	1—50	200	014018	19*)	1000
005297	1—50	200	014419	38*)	1000
005510	1—50	500	014445	1—50	500
005687	30*)	5000	014454	19*)	1000
005704	47*)	1000	014594	16*)	1000
005873	15*)	1000	014709	11*)	1000
006086	11*)	1000	015003	07*)	1000
006115	1—50	200	015314	14*)	5000
006136	44*)	5000	015503	1—50	200
006376	11*)	1000	015514	03*)	1000
006432	15*)	1000	015672	10*)	1000
006436	12*)	1000	015714	25*)	1000
006566	27*)	1000	015804	07*)	25000
006688	37*)	1000	015819	45*)	5000
006726	1—50	200	015848	1—50	200
006729	06*)	1000	016424	1—50	500
006776	45*)	1000	016670	39*)	1000
006783	30*)	1000	016688	18*)	1000
006966	1—50	200	016772	33*)	1000
007113	09*)	1000	016785	41*)	1000
007205	41*)	1000	016940	1—50	200
007412	23*)	1000	016952	1—50	200
007621	41*)	1000	017014	42*)	1000
007669	1—50	500	017201	46*)	1000
007687	1—50	500	017205	1—50	500
007720	06*)	1000	017335	11*)	1000
007896	1—50	200	017373	37*)	1000
007965	09*)	1000	017514	22*)	1000
008055	1—50	200	017599	11*)	1000
008073	1—50	200	017606	1—50	200
008290	47*)	1000	017994	47*)	5000
008400	42*)	1000	018014	01*)	1000
008420	1—50	200	018082	1—50	200
008441	1—25	200	018142	02*)	1000
008487	15*)	5000	018231	1—50	500
008839	22*)	1000	018251	45*)	1000
008854	1—50	200	018276	24*)	50000
009166	08*)	1000	018320	1—50	500
009190	1—50	500	018391	24*)	1000
009268	44*)	1000	018614	1—50	200
009473	04*)	1000	018626	41*)	1000
009566	14*)	1000	018664	09*)	1000
010038	39*)	10000	019050	40*)	5000
010325	13*)	1000	019070	08*)	1000
010345	27*)	1000	019402	1—50	200
010492	1—50	200	019724	10*)	10000
010557	17*)	1000	019836	28*)	10000
010771	45*)	1000	019857	03*)	1000
010810	22*)	1000			

*) ამ სერიის ობლიგაციათა დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟების ორგანიზაციისა და ჩატარების სექტორის უფროსი ზაიცევა

დიდი მოგება

25 აპრილს თბილისის რაიონის შემნახველ სალაროში მოქალაქე ივანოვამ წარმოადგინა 1942 წლის სამხედრო სესხის 100-მანეთიანი ობლიგაცია № 07, სერია 15.804, რომელსაც ხვდა მოგება 25.000 მანეთი.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ვინ აჯობებს?

ტყიბული, („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). 21 აპრილს მ. ციცხვაიას უბნის კოლექტივმა ქვანახშირის მოპოვების სადღეღამისო დავალება 158 პროცენტით შეასრულა, 22 აპრილს—187 პროცენტით, 23 აპრილს — 185 პროცენტით, ხოლო 24 და 25 აპრილს 200 ტონის ნაცვლად 350 ტონა ქვანახშირი ამოიღო. ამავე დროს უბანმა მინიმუმამდე შეამცირა ქვანახშირის დანაკარგები.

* * *

ტყვარჩელი, („კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან). 20 აპრილს ა. ჭირაქაძის უბნის მეშახტეებმა შეასრულეს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა აპრილის გეგმა და იკისრეს 1 მაისისათვის გეგმის გადამეტებით მოამზადონ რამდენიმე ახალი ლავა. უბნის მიერ ცალკეული დღეების გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა: 23 აპრილს დავალება 141,6 პროცენტით არის შესრულებული, 24 აპრილს — 133,3 პროცენტით, ხოლო 25 აპრილს — 150 პროცენტით.

სამხატვრო მუზეუმთა კოლექციების შევსება

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სახელმწიფო

[...]

ჩვენი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეს ეკუთვნის და რომელიც გამოსახავს ალით გარ-

[...]

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

[...]

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

მეუღლე ლუკა გოგია იუწყება აგრაფინა კვარაცხელია-გოგიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 27/IV, 7 ს. გამოსვენება 28/IV, 6 ს. კალინინის, 33.

ცეკავშირის სახურავთო და სამრეწველო ბაზის დირექცია, პარტორგანიზაცია და ადგილკომი იუწყებიან ანტონ კალანდარიშვილის შვილის, ბესოს გარდაცვალებას.

[...]